

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N47

ქ.თბილისი

18 ოქტომბერი, 2019 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი აზვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

ლევან არველაძე

რამინა ბერაძე

გიორგი ბირბიჩაძე

გიორგი გაბაშვილი

გულია გოცირიძე

ოთარ გრიგოლია

გოჩა თევდორაძე

ზექა დავითულიანი

თევდორე ისაკაძე

ლევან დარახველიძე

ანა ლაშხი

ფრიდონ ინჯია

ლილე ლიპარტელიანი

ერეკლე კუხიანიძე

თინათინ ნიბლოშვილი

ნინო ლაცაბიძე

ელენე ოზაშვილი

ქეთევან მამულაშვილი

დათო ქლენტი

ირაკლი ნადირაძე

ნინო რუხაძე

შალვა ოგბაიძე

ვახტანგ შაქარიშვილი

ლევან ქორქოლიანი

გიორგი ჩაკვეტაძე

დათო რურუა

ვლადიმერ მნელაძე

რევაზ სოხაძე

ლევან ხაბეიშვილი

დავით უთმელიძე

დავით ჭელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ჯაბა ჯიშვარიანი

ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან შუბითიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი ქვარა ჩართოლანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ ურუშაძე;

შპს „თბილისერვის ჯგუფის“ დირექტორი ლევან ჯლარკავა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან ხაბეიშვილმა გაისცნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წლის 22 აგვისტოს გაკეთებული განცხადება, რომ 2019 წლის დეკემბერში დედაქალაქში იქნებოდა 550 ავტობუსი და განაცხადა, რომ ეს დაპირება, როგორც ბევრი სხვა, აღმოჩნდა ტყუილი, რადგან დღეს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ მიიღო დამაჯერებელი პასუხი. მისი თქმით, ქალაქის მერმა, 2018 წლის დეკემბერში ისიც განაცხადა, რომ მეტროს შემადგენლობას ემატებოდა ვაგონები და 2019 წლის იანვრიდან შემცირდებოდა დალოდების რეჟიმი, თუმცა, მას შემდეგ მთავრობის სხდომებზე მუდმივად საუბრობს ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ისაუბრა ტაქსებზე და აღნიშნა, რომ ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელის თქმით, დედაქალაქს ემსახურება „A“ და „B“ კატეგორიის დაახლოებით 15-16 ათასი ტაქსი მაშინ, როდესაც მისივე სტატისტიკით, დედაქალაქში იყო 32 ათასი ადამიანი, ვინც ტაქსით მომსახურების ლიცენზია აიღო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც დაიწყო ტაქსების რეფორმა, 16 ათასი ტაქსი აღარ ემსახურება ქალაქს და მოსახლეობის ნაწილს უწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა. იმ ფონზე, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით სერიოზული პრობლემებია და ადამიანებს ცხოვრება ურთულდება, საკრებულოს უნდა ჰქონდეს კონკრეტული პოზიცია და რეკომენდაციებით მიმართოს დედაქალაქის მერს. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, ისაუბრა ხიზანიშვილის ქუჩაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, რომელიც უნდა დასრულებულიყო ოქტომბრის ბოლოს, თუმცა, კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, შესაძლებელია დეკემბრის ბოლოსაც ვერ დასრულდეს, რისი მიზეზიც, მერიის თქმით, კომპანიის ცუდად მუშაობაა, ხოლო კომპანიის წარმომადგენლის თქმით - მერიის მხრიდან პროექტის ხშირი ცვლილებაა. განაცხადა, რომ აღნიშნულის გამო ზარალდება მოსახლეობა და მიმართა საკრებულოს წევრებს, ჩაერთონ ამ საკითხის მოგვარებაში. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, გაიხსენა ორი თვის წინ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომაზე მის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ თბილისის ზღვაში ჩადის ფევალიები, თუმცა, კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები, ნაცვლად იმისა, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში შეესწავლათ საკითხი და ეზრუნათ პრობლემის აღმოფხვრაზე, იმ ლოკაციაზე ერთხელაც არ ყოფილან.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილი ცდილობს საზოგადოება ტყუილში ამყოფოს, რადგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს არა მხოლოდ ვეკუა-ხიზანიშვილზე, არამედ მთელი თბილისის მასშტაბით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. მისი თქმით, ხიზანიშვილის ქუჩაზე დასრულდა საარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა მიწისქვეშა კომუნიკაციების კაპიტალურ განახლებას და დაიგო ასფალტის პირველი ფენა. რაც შეეხება ტაქსების რეფორმას, განაცხადა, რომ რეგისტრირებულია არა 32 ათასი, არამედ 27 ათასი ტაქსი, რომელთაგან მხოლოდ 30%-მა ვერ მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი, ხოლო ტაქსების დანარჩენი ნაწილი არის „A“, ხოლო ნაწილი „B“ კატეგორიის. მისი თქმით, დარეგულირებულია მომსახურების ფასებიც და კმაყოფილები არიან, როგორც ტაქსის მდგოლები, ასევე ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ ტაქსის მომსახურებით. ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ თბილისი ყოველდღიურად უფრო უკეთესი და კომფორტული ხდება. დღევანდელი ხელისუფლება ამკვიდრებს სტანდარტს, რომელიც გულისხობს ხარისხიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ რეფორმას ვერ უწოდებს იმ ღონისძიებას, რომელსაც არავისთვის არ აქვს არც ერთი კარგი და მისაღები შედეგი და ტაქსებთან დაკავშირებით

რეგულაციების შემოღებას „ფასადური მოქმედება“ უწოდა, რადგან ე.წ. „რეფორმა“ იწვევს მხოლოდ სამუშაო ადგილების შემცირებას, სიღარიბის ზრდას, ტაქსებზე ხელმისაწვდომობის შემცირებას. გაიხსენა ტაქსების რეფორმის დაწყების პერიოდში მაია ბითაძის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ არ იგეგმებოდა არანაირი ღონისძიებები, რომლებიც ადამიანებს დაუკარგავდა თვითდასაქმების საშუალებას და მიმდინარეობდა მხოლოდ და მხოლოდ ტაქსების აღრიცხვა, თბილისში სატრანსპორტო სქემის უკეთ დაგეგმვის მიზნით. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები ვარაუდობდნენ, რომ აღიცხვას მოჰყვებოდა ლიცენზირება, ტაქსის მძღოლებისთვის ხარჯების დავისრება და თვითდასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც მთავრობას არაფერს თხოვენ, გაურთულდებოდათ ცხოვრება. რაც შეეხება ტაქსების ფერს, ტექნიკურ და სანიტარულ მდგომარეობას, განაცხადა, რომ ამაზე საუბარი არის დემაგოგია, რადგან მნიშვნელობა არ აქვს ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანა, იქნება თუ არა ტაქსი, თბილისში არ უნდა დადიოდეს არც ერთი ავტობილი, რომელსაც არ ექნება გავლილი ტექ-დათვალიერება. ასევე, გაუგებარია და ვერავინ დაამტკიცებს იმას, რომ თეთრი ტაქსი რაიმე ნიშნით, თუნდაც სანიტარული, ლურჯზე უკეთესია. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ტაქსების რეფორმის განხორციელებით არ გამოსწორებულება ამ მიმართულებით არც ერთი პრობლემა, პირიქით - რამდენიმე ათასმა ადამიანმა დაკარგა შემოსავალი.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემაში მიმდინარე პროცესებში მხოლოდ ხარვეზის დანახვა უხერხულია, რადგან ამ ეტაპზე არის გარდამავალი პერიოდი და ბუნებრივია, რომ შემცირდა ტაქსების რაოდენობა და შესაბამისად, გაძირდა მომსახურება. რაც შეეხება ახალი ავტობუსების შემოყვანას, ეს არის ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი, რომელიც, შესაძლებელია წელი და ხარვეზებით, მაგრამ წინ მიიწევს, თუმცა ფორს-მაჟორისგან არავინ არის დაზღვეული და მოხდა ისე, რომ კომპანიამ დააგვიანა 50 ერთეული ავტობუსის შემოყვანა. ასევე ისაუბრა მეტროს შემადგენლობაზე და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში დაემატება 10 შემადგენლობა და დალოდების დრო ჩამოვა 2 წუთამდე.

თევდორე ისაკაძემ ავტობუსების შემოყვანასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ეს არის ცოცხალი პროცესი, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს ხარვეზები, თუმცა ახალი ავტობუსები შემოვა იმ მოცემულ დროში, რაც ითქვა. ტაქსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეფორმის პროცესში ავტომობილების რაოდენობის კლება მოსალოდნელი იყო. მისი თქმით, ბევრი მძღოლი ტაქსით მომსახურებას ეწეოდა ტექნიკურად გაუმართავი ავტომობილით, რომელთა კლების ხარჯზეც მოხდა მომსახურების ხარისხის ამაღლება. ოპოზიციის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ თითქოს მხოლოდ ტაქსების აღრიცხვა იქნებოდა, არასწორია, რადგან ტაქსების აღრიცხვა იყო რეფორმის პირველი ეტაპი, რომელსაც მოჰყებოდა სხვა ეტაპებიც. მისი თქმით, თბილისში დღეს არსებული ტაქსების რაოდენობა ბევრია, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხს ახლავს სოციალური კომპონენტი და ამიტომ, ხელისუფლება საკითხს ლოიალურად უდგება. მისი თქმით, თუ სადმე იგრძობა პროგრესი, ერთ-ერთი პირველი არის სატრანსპორტო პოლიტიკა და სწორედ ეს იწვევს ოპოზიციის აგრესის ამ მიმართულებით.

ერეკლე კუხიანიძემ განაცხადა, რომ ოპოზიცია უნდა იყოს კრიტიკული ხელისუფლების მიმართ, თუმცა ეს კრიტიკა უნდა იყოს სამართლიანი. გამოეხმაურა ლევან ხაბეიშვილის განცხადებას, რომ თითქოს რეაგირება არ მოჰყოლია მის მიერ გაუღერებულ ინფორმაციას, რომ თბილისის ზღვაში ჩატარებით გადასახადები და აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით გაკეთდა განმარტებები, რომ წყალი, რომელიც მიეწოდება მოსახლეობას, არ იყო დაბინძურებული. გარდა ამისა, სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ აღნიშნული არ იყო რაიმე სახის ხიფათის შემცველი, თუმცა თავად ფაქტი აღმოსაფხვრელია, რაზეც მიმდინარეობს მუშაობა.

ირაკლი ნადირაძემ თბილისში დღეს არსებულ სიტუაციაზე განაცხადა: ხალხს აქვს უკიდურესი გაჭირვება - არ მომატებია პენსია, გაუმვირდა გადასახადები და პროდუქტები; კიდევ უფრო მწვავეა საცობების, პარკირების, სოციალური, დასუფთავების და უამრავი სხვა პრობლემა. მისი თქმით, საკრებულოს წევრები ვალდებული არიან იყვნენ იქ, სადაც

პრობლემაა და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, ამას აკეთებს ოპოზიცია. ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებს არ სურთ სიმართლის მოსმენა, რადგან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ნაკეთებ საქმეებს და წარმატებებს ვერასდროს გაიმურჯებენ და ვერ დაეწევიან და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „თქვენ მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ჩვენ სადაც ხალხის პრობლემაა, იქ ვიქნებით“. ირაკლი ნადირაძის განცხადების შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დატოვეს სხდომა.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ სატრანსპორტო სისტემის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელისუფლების წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი იყო და დღეს ამ მიმართულებებით თბილისში ხორციელდება უპეცედენტო მასშტაბის პროექტები. მისი თქმით, როდესაც ოპოზიცია ხელისუფლების ქმედებებში ვერ ხედავს სერიოზულ ხარვეზებს, საუბრობს აბსურდულ თემებზე, რისი ნათელი მაგალითია დღეს მათი მხრიდან სატრანსპორტო პოლიტიკის კრიტიკა.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ თბილისში ათწლეულების მანძილზე არ განხორციელებულა იმდენი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაც განხორციელდა ბოლო ორი წლის მანძილზე. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ „მოგონილ თემებზე“, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი კარგად მუშაობს.

ოთარ გრიგოლიამ, ხიზანიშვილის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებზე განაცხდა, რომ მერიის მხრიდან ყოველდღიურად ხორციელდება შესრულებული სამუშაოს კონტროლი და თითოეულმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა იცის, თუ რა კეთდება და განაცხადა, რომ თბილისში ამ მასშტაბის სამუშაოები არასდროს განხორციელებულა. უმჯობესი იქნება ოპოზიციის წარმომადგენლებმა ეს მიიღონ, როგორც პოზიტიური და კარგი სიახლე, რადგან ყველაფერი კეთდება ქალაქის და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

ლევან უორჯოლიანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე, საკრებულომ უნდა მიიღოს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და სამწუხაროა, რომ საზოგადოება ამ ინფორმაციის ნაცვლად, ისმენს ოპოზიციის წარმომადგენლების აბსურდულ განცხადებებს.

რამინა ბერაძის თქმით, იმ განცხადებების გაკეთება, რომლებიც მიმდინარე სხდომაზე გაუდერდა ოპოზიციის წარმომადგნლების მხრიდან, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ გიყვარს შენი ქალაქი და ქვეყანა, რადგან მიუღებელია შენიშვნები ჰქონდეს ვინმეს ავტობუსების შემოყვანასთან და თბილისში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები მუდმივად ცდილობენ როგორმე გადაფარონ ხელისუფლების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და განაცხადა, რომ აუცილებელია საზოგადოების სწორად ინფორმირება ყველა იმ საკითხზე და შესრულებულ სამუშაოზე, რომლებსაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ახორციელებს ქალაქის და მოსახლეობის კეთილდღეობისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

- „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჯლარვავა

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქეთევან შუბითიძე

3. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/კ.: 406246753) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

4. „ქ.თბილისში, ბეთლემის ქ.N15-ში მდებარე ფართების (ს/კ.: N01.18.03.072.064.01.500, N01.18.03.072.064.01.504, N01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

5. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

6. „გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

7. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

8. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N47-ში (ნაკვეთი 34/2020) (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.020.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

9. „ქალაქ თბილისში, III მასივის VIII კვარტლის კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

10. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორის ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: N81.08.21.448, N81.08.21.462, N81.08.21.463) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

12. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიმის IV მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: N1, N2 და N3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ.: N01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

13. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე მდებარე 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.16.08.006.105) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

14. „ქალაქ თბილისში, წყნეთში, რუსთაველის ქუჩა N45-ში (საკადასტრო კოდები: N01.20.01.139.109.01.001; N01.20.139.109.01.002; N01.20.01.139.109.01.003; N01.20.01.139.109.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

15. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

16. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

17. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N22-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.061.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

18. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.24.004.056) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

19. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.040.004.01.539) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

20. „ქალაქ თბილისში, მუხიანის სამხედრო დასახლებაში, „ავჭალა-1“, სახლი N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.007.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

21. „ქალაქ თბილისში, ენგურჰესის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.23.013.010.01.503, N01.19.23.013.010.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

22. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N4 (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.037.01.1500.611) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

23. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36-ში (ნაკვეთი 64/029) (საკადასტრო კოდები: N01.17.09.064.029.01.040, N01.17.09.064.029.01.046) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

24. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N89-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.008.002.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

25. „ქალაქ თბილისში, გელა ჭედიას ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.023.021.01.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

26. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

27. „ქ.თბილისში დიდი დიღომი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრის მიმდებარედ არსებული, 10177 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.72.14.009.259) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

28. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

29. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N34-38-ის მიმდებარედ არსებული 1933 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.078) 73 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იან დავიდოვისთვის (პ/ნ: 01018002120) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

30. „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 88 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.065.072) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის“ (ს/ნ.: 402113253) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

31. „ქალაქ თბილისში, წინამდგრადვილის ქუჩა N39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.020.025) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის“ (ს/ნ.: 416342844) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

32. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 742 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.005.027) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მს ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 405167947) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

33. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების III ა მიკრორაიონის კორპუსი N338-ის მიმდებარედ არსებული 518 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ.: N01.19.39.012.055) 72 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „მარტ ჯგუფისთვის“ (ს/კ.: 406119579) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

34. „ქალაქ თბილისში, ახუნდოვის ქუჩა N3/10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.04.017.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვაინლაბისთვის“ (ს/ნ:405213709) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

35. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ.: N01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით თეონა გაზდელიანისთვის (პ/ნ.: 35031007233) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

36. „ქალაქ თბილისში, აბანოს შესახვევი N7-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.063.060) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დან დიურ ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ.: 203855104) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

37. „ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტლის N9ა და N9^ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.022.003) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან შპს „არქიინვესტი“ (ს/კ.: 404954046) გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N421 განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ ურუშაძე

38. „რიგი ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ქორქოლიანი

39. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

40. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, მინდელის ქ.N11-ში არსებულ ნაკვეთებზე (ს/კ.: N01.14.05.005.058) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N433 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

41. „ქ.თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N38-ში არსებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.007.046 ფართობი 26123 კვ.მ.) და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობით 26973 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

42. „ქალაქი თბილისში, ც.დადიანის ქ.N263-ში, ზედაზნის ქუჩა N4 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ.: N01.12.11.037.023, N01.12.11.037.019; N01.12.11.037.075; N01.12.11.037.076; N01.12.11.037.020; N01.12.11.037.100, საერთო ფართობი: 12808 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

43. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩისთვის სანაპიროს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

44. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

45. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩისთვის სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

46. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლეო და ნოდარ გაბუნიების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

47. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩის მონაკვეთისთვის მწერლის, დრამატურგის თამაზ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

48. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, არჩილ გელოვანის ქუჩისთვის მედიცინის დამსახურებული მოღვაწეების ზაზა და საულ კახიანების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

49. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაზა და საულ კახიანების სახელობის სკვერისთვის სიცოცხლის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

50. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ანდრო ქორდანიას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ვაწტანგ და ამირან კაპანაძების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

51. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ეწ. ზურგოვანის საცხოვრებელი კომპლექსისთვის ქართულ-ამერიკული უბნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

52. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის III ჩიხისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ეთერ ბოცამის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

53. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, კლდეკარის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

54. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ეწ. ავჭალის ხიდისთვის გმირ ქართველ არტილერისტთა სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

55. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის, მომღერლის გიო ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

56. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ანდრია გუგუშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

57. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სავანეს ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის სავანეს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

58. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფრიდონ თოდუას ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ექიმ-პედიატრის, აკადემიკოს ირაკლი ციციშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

59. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის პროფესორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს არჩილ ბეთანელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

60. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის ქუჩისთვის და ასპინძის I ქუჩისთვის ასპინძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

61. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ასპინძის შესახვევის მონაკვეთისთვის, ზეგანის ჩიხისთვის და ზეგანის შესახვევისთვის ზეგანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

62. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის, პროფესორის მარიამ გრიგალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

63. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფოტოხელოვანის ევტინი ჟვანიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

64. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის არქიტექტორის თეიმურაზ ბოჭორიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

65. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ილია ვეკუას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

66. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სპორტული მოედნისთვის ფეხბურთელის ვახტანგ ფანგანის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა ლევან ჯლარკავაშ და განმარტა, რომ ცვლილებები ითვალისწინებს ნარჩენების მომსახურების მიმღები პირებისთვის, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული დამოუკიდებელი ელექტრონურგიის მომხმარებლად, დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის წესს და იურიდიული პირებისთვის ნარჩენების ურნების კვოტირებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ქეთევან შუბითიძემ და განმარტა, რომ დებულებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ვალდებულება აქვს გამგეობების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები დაარეგისტრიროს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით, ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელიც შესყიდვას ახორციელებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით, დარეგისტრირებული უნდა იყოს ცალკე შემსყიდველი ორგანიზაციად და ელექტრონულ სისტემაში თავადვე უნდა არეგისტრირებდეს საკუთარ ხელშეკრულებებს. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა დებულებაში ცვლილების განხორციელება.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილებები გამოიწვევს თუ არა მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობის წილის შემცირებას, გამგეობების მიერ განხორციელებულ შესყიდვებზე.

ქეთევან შუბითიძემ განმარტა, რომ მერიის პასუხისმგებლობა არ მცირდება, რადგან დებულებაში ჩანაწერის შეცვლა გამომდინარეობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან და პრაქტიკაში არაფერს ცვლის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.526) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თბილისის ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/კ.: 406246753) უსაყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ქვიშის ფეხბურთის მოედნის მოწყობის მიზნით.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას და აქვე განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქ.თბილისში, ბეთლემის ქ.N15-ში მდებარე ფართების (ს/კ.: N01.18.03.072.064.01.500, N01.18.03.072.064.01.504, N01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხი. რაც შეეხება ფასთა შორის სხვაობას, აანაზღაურებს მუნიციპალიტეტი.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით სრულდება იპოდრომის კორტების გამოსყიდვის პროცესი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ გასხვისებული სპორტულ-რეკრეაციული ტერიტორიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნება არის საქალაქო მნიშვნელობის გადაწყვეტილება და ვარგი იქნება, თუ გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა ტერიტორიის მხოლოდ სპორტულ-რეკრეაციული დანიშნულებით განვითარებაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N29-ის მიმდებარედ არსებული 408 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.959) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ კერძო მესაკუთრემ ვერ შეძლო პროექტის განხორციელება ადგილობრივი მაცხოვრებლების პროტესტიდან გამომდინარე და ამიტომ, დადგა კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. რაც შეეხება ფასთა შორის სხვაობას, სამი თვის ვადაში დაფარავს კერძო მესაკუთრე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „გარდაბანში, სოფელ ნორიოში მდებარე 6500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N81.09.08.272) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ საუბარია ნორიოს ნაგავსაყრელზე, რომლის გამოსყიდვის პროცესი დაიწყო 2010 წელს, დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი მოქალაქე და ამ ეტაპზე წარმოდგენილია მისთვის მუნიციპლიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ნუცუტიმე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის და შპს-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცელება განპირობებულია იმით, რომ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არ განხორციელდეს ახალი მშენებლობა. რაც შეეხება ფასთა შორის სხვაობას, სამი თვის ვადაში, დაფარავს კომპანია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქუჩა N47-ში (ნაკვეთი 34/020) (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.020.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი პირისთვის 31 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 18 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, III მასივის VIII კვარტლის კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007.01.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ერთი პირისთვის 32 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 27 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა

ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 4 ოჯახისთვის 254 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 2005-2009 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორის ქუჩაზე (საკადასტრო კოდები: N81.08.21.448, N81.08.21.462, N81.08.21.463) მდებარე უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 15 ოჯახისთვის 827 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც 1991-2008 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, N102 საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული 21229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: N1, N2 და N3 (მიწისქვეშა ნაგებობა) (ს/კ.: N01.14.16.008.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთი გადაცემა ფეხბურთის ფედერაციას, გარკვეული საპრივატიზებო პირობით: ტერიტორიაზე არანაკლებ ერთი ხელოვნურსაფარიანი, სტანდარტული საფეხბურთო მოედნის და არანაკლებ ერთი მინი-საფეხბურთო მოედნის მოწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომლის ესპლუატაციაში მიღება უნდა მოხდეს 2022 წლის 1 იანვრამდე; პრივატიზებული უმრავი ქონების განვითარება და ფუნქციონირება მხოლოდ სპორტული დანიშნულებით და სპორტული პროფილის მუდმივი შენარჩუნებით.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ამ რაიონის და ადგილობრივი მაცხოვებლებისთვის, არამედ, ზოგადად, ქალაქისთვის და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო აღნიშნული პროექტის შემუშავებაში.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს მუნიციპალიტეტის მრიდან მიწის ნაკვეთის დამატება, მისასვლელი გზის და ავტოსადგომისთვის და განაცხადა, რომ ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის სპორტული კომპლექსების განვითარება.

გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ ფეხბურთის ფედერაციას აქვს მიტოვებული სტადიონებისა და დიდი ტერიტორიების მონაცემები და მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, თუ რომელ რაიონში, როგორი პროექტის განხორციელება იქნება შესაძლებელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

